ო ქ მ ი N12

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 30 სექტემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯოზავა
2. შოთა სირაძე
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. თენგიზ აბაკელია
7. მალხაზ ლაგვილავა
8. როსტევან გვარამია
9. კახა მიქაბერიძე

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯოზავა – საკრებულოს თავმჯდომარე

*დღის წესრიგი:*

1. საინიციატივო ჯგუფის განცხადების (N272 28.09.2015) განხილვა (თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. საინიციატივო ჯგუფის განცხადების (N272 28.09.2015) განხილვა (თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საინიციატივო ჯგუფის განცხადება, თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია 2-3 ოქტომბერს ხობის

მუნიციპალიტეტი უკვე მეშვიდედ უმასპინძლებს საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“. ფესტივალს ეწვევა და თავის განუმეორებელი ხმით ხობელებს და მოწვეულ სტუმრებს უმღერებს თამარ გვერწითელი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ხალხური მუსიკისა და მეგრული სასიმღერო ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში, ის სრულ მხარდაჭერას უცხადებს ხობის საერთაშორისო ფესტივალს, რის დასტურადაც ის არაერთხელ სტუმრობდა ფესტივალს. ფესტივალის ფარგლებში ჩაიწერა თ. გვერწითელისა და ანსამბლ „რუსთავის“ ერთობლივი სიმღერები, სულ 380 ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც 16 კომპაქ დისკად გამოიცა, რომელშიც შესულია პატრიარქის გალობა „ალილუიაც“. გამომსვლელის განცხადებით კომისიამ განიხილა საინიციატივო ჯგუფის განცხადება და კომისიის ყველა წევრი ერთხმად უჭერს მხარს წარმოდგენილ ინიციატივას თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა თამარ გვერდწითელის ღვაწლზე ქართული ხალხური მუსიკის განვითარების სფეროში და აღნიშნა, რომ მისი შემოქმედება ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის, ის ქართველი ხალხის სიამაყეა. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, მის მიმართ ხობელების მხრიდან პატივისცემის ნიშნად, საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტს თამარ გვერდწითელს მიენიჭოს ხობის საპატიო მოქალაქეობა

მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 9, წინააღმდეგი – არც ერთი**

**დაადგინეს:** დაევალა საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე წერილის მომზადება, ბიუროს მიერ მიღებული რეკომენდაციის თანახმად, თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯოზავა